0006975 TBC Gym Equipment (LHQ)

ბაზრის კვლევა



სს “თიბისი ბანკი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ბაზრის კვლევაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით. გამარჯვებულის შერჩევა განხორციელდება ქვემოთ მოცემული პროცედურის საფუძველზე.

I. მონაწილეობის წესები

წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 15.05.2025წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
კონსტანტინე ბურდილაძე 599 223 900 koburdiladze@tbcbank.ge

დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.ge

- ელექტრონული პროცედურის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ „თიბისი ბანკში“ უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები.
- პრეტენდენტი ვალდებულია ბანკის მიმართვის შემთხვევაში შესაბამისი ფორმატის მეშვეობით დააზუსტოს შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის შესახებ ინფორმაცია - მწარმოებელი კომპანია, წარმოშობის ქვეყანა და სხვა.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს პროცედურა, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;
- შემოთავაზებული პროდუქცია უნდა შეასაბამებოდეს გარემოს დაცვით სტანდარტებს: ISO14001 ან EMAS. ასევე FSC, PEFC, CE ან სხვა მსგავსი ეკო-ეტიკეტირება.

დეტალური ინფორმცია გამოყოფილი ფართის შესახებ და ნახაზები დაინტერესებულ პირს გადაეცემა თანდართული **კონფიდენციალობის დაცვის შესახებ შეთანხმების (NDA)** ხელმოწერილი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

დასკანერებული ვერსია გადმოაგზავნეთ ელ. ფოსტაზე: Vkituashvili@Tbcbank.ge

II. შესყიდვის ობიექტი

<u>შესყიდვის მიზანია თიბისი ბანკის ახალი სათავო ოფისის Fitness დარბაზისთის პრემიუმ ხარისხის ინვენტარის მიწოდება და ინსტალაცია:</u>

დანართ N1-ში მოცემულია ერთ-ერთი პრემიუმ ბრენდის მოდელებით დაკომპლექტებული შემოთავაზება და კვლევის მიზანია შესაბამისი ალტერნატივის მოძიება. გამოქვეყნებულია ორი განსხვავებული ვერსიას და პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ასევე ორი განსხვავებული, მაგრამ არსებულ ვერსიებთან პუნქტობრივად სრულად შესაბამისი სავარჯიშო ინვენტარი.

ბანკს შერჩეული ჰყავს მომსახურე კომპანია SNAP Fitness, რომელიც საკონსულტაციო როლით ჩართული იქნება მომწოდებლის შერჩევაში და ასევე, როგორც საგარანტიო, ისე არასაგარანტიო პერიოდში განახორციელებს ინვენტარის მოვლა-პატრონობასა და ექსპლოატაციას. შესაბამისად მომსახურების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტს:

გამოძახებაზე რეაგირება: 24სთ-ის ფარგლებში;
ტექნიკური ხარვეზის ლოკალური ძალებით აღმოფხვრა: არაუმეტეს 72 სთ-ში;
აუცილებელი ტექნიკური საშუალებების და რესურსული ნაწილების მარაგი;
წარმოების ადგილი: ევროპა, აშშ, კანადა;
ბრენდის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში;

P.S. ბაზრის კვლევის ფარგლებში გვესაჭიროება მხოლოდ გამოქვეყნებული მოდელების ანალოგიები და რაოდენობები, გეგმარება შეთანხმებულია მომსახურე კომპანიასთან და ალტერნატივას არ განვიხილავთ.

III. ბაზრის კვლევის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები **(თავისუფალი ფორმით)**;
- ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების/მომსახურების გაწევის შესახებ - მასშტაბი, სარეკომენდაციო წერილი.
- შემოთავაზების ორი ვერსიის განფასება **(დანართი N1)**;
- შემოთავაზებული ინვენტარის დეტალური ტექნიკური და ვიზუალური განმარტება (პრეზენტაცია, datasheet...)
- სრულად შევსებული და ხემოწერილი KYP ფაილი;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;